



სოციალური კვლევისა და ანალიზის
ინსტიტუტი

მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის კვლევა:

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის
შედეგები

(2012 წელი)

ს ა რ ზ ე ვ ი

კვლევის მეთოდოლოგია	3
შერჩევა:	6
I. ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შეფასება.....	10
II. მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ დამოკიდებულება	13
III. ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები; მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები	15
3.1. ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები	15
3.2. მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები.....	17
IV. სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი; მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები; მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა	20
4.1. მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი	20
4.2. მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები	22
4.3. მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა	26
4.4. მასწავლებლობა არაკომფორტულ (ან, „ექსტრემალურ“) პირობებში	29
V. ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი	39
ძირითდი შედეგები და დასკვნები.....	3

კვლევის ძირითადი შედეგები

სამიზნე ჯგუფების (სტუდენტების და კურსდამთავრებულების) უმრავლესობა დადებითად აფასებს ბოლო წლებში ზოგადი განათლების სფეროში გატარებულ რეფორმებს და მიიჩნევს, რომ ამ რეფორმებმა ხელი შეუწყო საშუალო განათლების სფეროს განვითარებას საქართველოში. ყველაზე დიდი მხარდაჭერა (ორივე ჯგუფში) წილად ხვდა ერთიანი საატესტატო გამოცდების შემოღებას. წარმატებულ ცვლილებებად აღიქმება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა სკოლებისათვის. დადებითი შეფასების ველში ექცევა, აგრეთვე, სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნა.

რესპონდენტთა გამოკვეთილად უარყოფითი შეფასება (ორივე სამიზნე ჯგუფში) წილად ხვდა 12 წლიანი საშუალო განათლებისა და სკოლებში ახალი სახელმძღვანელოების შემოღებას. უარყოფითი შეფასების ველში ექცევა სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესიც.

მასწავლებელთა სერტიფიცირების მოთხოვნის მიმართ ორივე ჯგუფის რესპონდენტებში აშკარა მხარდაჭერაა: უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს მასწავლებლებისათვის. ამასთან, ვინც სერტიფიცირებას გაივლის, უნდა მიენიჭოს სხვადასხვა პრივილეგიები (მაგ., გაეზარდოს ხელფასი). მათი აზრით, სერტიფიცირება გაუვლელ მასწავლებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს სკოლაში მუშაობის უფლება, თუ მის საგანში პედაგოგის ვაკანსია შეუვსებელი დარჩება.

ზოგადი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს შორის ყველაზე მწვავე პრობლემად ორივე სამიზნე ჯგუფში დასახელდა მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურება. სხვა პრობლემათა შორის მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა: მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია; მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის; მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; უხარისხო სასწავლო გეგმები; არსებული სახელმძღვანელოების დაბალი დონე;

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ორივე ჯგუფის რესპონდენტებში მასწავლებლის პროფესიის სიმბოლური და რეალური კაპიტალი საკმაოდ შორდება ერთმანეთს. მასწავლებლის პროფესიის სიმბოლური კაპიტალი (ანუ, მასწავლებლობა, როგორც ასეთი) რეალურზე გაცილებით პოზიტიურია – მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა, რომელსაც სწავლაში წარჩინებული და წარმატებული ადამიანები შეგნებულად ირჩევენ. თუმცა, როდესაც საქმე ეხება ამ პროფესიის საკუთარი ოჯახის წევრთა გამოცდილებაში “შემოტანას”, ეს უკვე აღარ წარმოადგენს სასურველ პერსპექტივას რესპონდენტთათვის და მათი უმრავლესობა სხვა პროფესიის დაუფლებას უჭერს მხარს.

ამის დამადასტურებელია ისიც, რომ რესპონდენტებმა აღიარეს მასწავლებლის პროფესიის ნაკლებკონკურენტულობა სხვა პროფესიებთან შედარებით. 15 ჩამოთვლილ პროფესიას შორის რესპონდენტებმა მასწავლებლობა უფრო

ნაკლებად პრესტიჟულად მიიჩნიეს, ვიდრე ექიმის, ბიზნესის ადმინისტრატორის, ჟურნალისტის, მოსამართლის, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის. სპორტსმენის, მეცნიერ-მუშაკის, მსახიობის და სხვ. პროფესიები.

სტუდენტთა არსებული კორპუსიდან, 321 ლარიანი ანაზღაურების პირობებში, რეალურად შესაძლებელია დაახლოებით 26.4%-ის რეკრუტირება სკოლაში მასწავლებლად. კურსდამთავრებულთა შორის ასეთი პოტენციის მატარებელია 35.6%. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლობის მსურველები ორივე სამიზნე ჯგუფში მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ მოხდება მინიმალური ანაზღაურების შეთავაზება 650 ლარის ფარგლებში. გაზრდილი ანაზღაურების პირობებში სტუდენტთა დამატებით 49.5%, ხოლო კურსდამთავრებულთა დამატებით 40.5% ლოალურია მასწავლებლის საქმიანობის მიმართ (ანუ, ეს ნაწილი სკოლას განიხილავს როგორც მათი დასაქმების შესაძლო ინსტიტუტს).

ის ნაწილი, რომელიც გამორიცხავს სკოლაში მასწავლებლად მუშაობას (და ამ საკითხს ანაზღაურებაზე დამოკიდებულად არ მიიჩნევს) სტუდენტთა შორის 13.2%-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 15.1%.

გამოკითხვის შედეგად კიდევ უფრო გამოიკვეთა მასწავლებლობის კანდიდატთა ბაზა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთ შორის – იმ რესპონდენტთა გამოყოფით, ვისაც მასწავლებლობა, იმავე რანგის და ანაზღაურების სხვა სამსახურთან შედარებით, მეტ-ნაკლებად პრიორიტეტულად მიაჩნია: საბოლოო ჯამში, ირკვევა, რომ სტუდენტების და კურსდამთავრებულების დღეს არსებულ ნაკადში მასწავლებლად დასაქმებისთვის ყველაზე რეალური რაოდენობა სტუდენტებს შორის არის თითქმის 17.0%, ხოლო კურსდამთავრებულებს შორის – თითქმის 13.2%.

გამოკითხვამ გამოამჟღავნა მასწავლებლობის ყველაზე ერთგულ რესპონდენტთა ნაწილი, რომელიც ამ საქმიანობას არ გაცვლიდა სხვა, უფრო მაღალანაზღაურებად, სამსახურში. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ნაწილი, ორივე სამიზნე ჯგუფში, გაცილებით მცირეა, ვიდრე მასწავლებლობის „ჩვეულებრივი“ მსურველები: სტუდენტთა შორის ასეთია 5.6% (რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება კიდევ 5.3% დაემატოს) და კურსდამთავრებულთა შორის – 3.4% (რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება კიდევ 5.4% დაემატოს).

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (შესაბამისად, 10.4% და 14.1%) გამოთქვამს მზადყოფნას იმისათვის, რომ მასწავლებლობა, დღეს არსებული ანაზღაურების პირობებში, სხვა საცხოვრებელ ადგილას დაიწყოს. თუმცა, ანაზღაურების გაზრდის შემთხვევაში ვითარება არსებითად იცვლება: იმ შემთხვევაში, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნება თვეში საშუალოდ 980 ლარი, დამატებით სტუდენტების 51.0% მოსალოდნელია, დათანხმდეს მასწავლებლობას სხვა საცხოვრებელ ადგილას. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას და მასწავლებლობის დაწყებას შესაძლებლად მიიჩნევს კურსდამთავრებულების დამატებით 40.5% დაახლოებით 975 ლარიანი მინიმალური ანაზღაურების პირობებში.

კიდევ უფრო „ძვირი“ ჯდება მასწავლებლობა იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტებს მის დაწყებას სთავაზობენ რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ პირობებში, მით უფრო, სხვა რეგიონში გადასვლით. ამ შემთხვევაში რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისათვის (არსებული ანაზღაურების პირობებში) უაღრესად დაბალია (სტუდენტთა 16.8% დათანხმდებოდა საკუთარ რეგიონში მასწავლებლობას და 9.9% - სხვა რეგიონში; კურსდამთავრებულებისათვის იგივე მონაცემებია 12.7% და 5.4%).

თუმცა, ფინანსები ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რესპონდენტთა მოტივაციის ზრდისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საკუთარ რეგიონში რთულ პირობებში მუშაობას ეხება – სტუდენტთა დამატებით 36.3%, მინიმუმ საშუალოდ 1110 ლარიანი ანაზღაურების პირობებში, შესაძლებლად მიიჩნევს მასწავლებლად მუშაობას. ხოლო, კურსდამთავრებულისათვის (30,7%) ასეთ ვითარებაში მასწავლებლობის საფასური ცოტა უფრო ნაკლები აღმოჩნდა – მინიმუმ საშუალოდ 1020 ლარამდე.

რაც შეეხება მასწავლებლობის დაწყებას სხვა რეგიონის რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ პირობებში – ანაზღაურების ფაქტორი დადებითი მოტივაციის გაჩენისათვის ეფექტური აღმოჩნდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საშუალოდ მესამედისათვის, თუმცა, გაცილებით მაღალი მინიმალური ანაზღაურების ფასად: სტუდენტებისთვის (42.4%) ეს მინიმუმი საშუალოდ 1250 ლარია, ხოლო კურსდამთავრებულებისთვის (34.1%) – საშუალოდ 1200 ლარი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის **მიზანი** იყო მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის გამოვლენა პოტენციურ სამიზნე ჯგუფებში, ანუ უმაღლესი სასწავლებლების რამდენი სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მოზიდვაა მოსალოდნელი სკოლის მასწავლებლის პოზიციაზე.

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა.

კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ.

კვლევის **ინსტრუმენტი** – კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვებს.

კვლევა მიმართული იყო ორ სამიზნე ჯგუფზე:

1. უმაღლესი სასწავლებლების (როგორც პედაგოგიური, ისე არაპედაგოგიური პროფილის) სტუდენტები.
2. უმაღლესი სასწავლებლების (როგორც პედაგოგიური, ისე არაპედაგოგიური პროფილის) კურსდამთავრებულები;

აღნიშნული ჯგუფები ჩაითვალა როგორც დამოუკიდებელი **გენერალური ერთობლიობები**. ამდენად, რეპრეზენტატული შერჩევა აიგო თითოეულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით.¹

კვლევის ძირითადი **თემებია:**

- ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შეფასება;
- მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ დამოკიდებულება;
- ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები;
- მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები;
- სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი; მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები; მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა;

შერჩევა:

ა) სტუდენტებისათვის

შერჩევითი ერთობლიობა: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ის სტუდენტები, რომლებიც:

S1. სწავლობენ III ან IV კურსზე
და

¹ შერჩევის ცდომილება 7%-ზე ნაკლებია.

S2. სწავლობენ ისეთ სპეციალობებზე, რომ პოტენციურად (სურვილისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში) შანსი აქვთ, გახდნენ მასწავლებლები.

ასეთ სპეციალობებად მიჩნეულ იქნა:

- საბუნებისმეტყველო სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია;
- ჰუმანიტარული სპეციალობები: ფილოლოგია; ისტორია;
- ფიზიკური აღზრდა
- მუსიკა და სახვითი ხელოვნება
- საინფორმაციო ტექნოლოგიები

შერჩევის მოცულობა: 394 დასრულებული ინტერვიუ.

შერჩევის დიზაინი: ორსაფეხურიანი სტრატეგიცირებული შერჩევა.

სამიზნე (გენერალური) ერთობლიობა შეადგენდა 14,481 სტუდენტს.

სტრატეგიკაცია განხორციელდა სპეციალობების მიხედვით. სულ გამოიყო 14 სტრატა.

თავდაპირველად შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა სტრატებში მათში სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად.

შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმოადგენს ფაკულტეტი.

ფაკულტეტების შერჩევა განხორციელდა PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით.

შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენს სტუდენტი.

სტუდენტების შერჩევა განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საშუალებით.

ბ) უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის

შერჩევითი ერთობლიობა: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ის კურსდამთავრებულები, რომლებმაც:

S1. დაამთავრეს ბაკალავრიატი 2009 - 2012 წელს.

და

S2. სწავლობდნენ ისეთ სპეციალობებზე, რომ პოტენციურად (სურვილისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში) შანსი აქვთ, რომ გახდნენ მასწავლებლები, მაგრამ ჯერ არ მუშაობენ მასწავლებლად.

ასეთ სპეციალობებად მიჩნეულ იქნა:

- საბუნებისმეტყველო სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია;

- ჰუმანიტარული სპეციალობები: ფილოლოგია; ისტორია;
- ფიზიკური აღზრდა
- მუსიკა და სახვითი ხელოვნება.
- საინფორმაციო ტექნოლოგიები

შერჩევის მოცულობა: 205 დასრულებული ინტერვიუ.

შერჩევის დიზაინი: ორსაფეხურიანი სტრატეგიცირებული შერჩევა.

სამიზნე (გენერალური) ერთობლიობა შეადგენდა 23,894 კურსდამთავრებულს.

სტრატეგიკაცია განხორციელდა სპეციალობების მიხედვით.

თავდაპირველად შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა სტრატეგში მათში კურსდამთავრებულების რაოდენობის პროპორციულად.

შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმოადგენს ფაკულტეტი. ფაკულტეტების შერჩევა განხორციელდა PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით.

შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენს კურსდამთავრებული. რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საშუალებით.

საბოლოოდ შერჩევის მოცულობები სტრატეგში გადანაწილდა შემდეგნაირად (*იხ. ცხრილი №1*):

ცხრილი №1ა

სპეციალობა	კურსდამთავრებული	სტუდენტი	სულ
პედაგოგიკა და დაწყებითი განათლება	27	49	76
ქართული ენა და ლიტერატურა	36	65	101
მათემატიკა	12	29	41
რუსული ენა	3	13	16
უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	46	72	118
ისტორია, საზოგადოებამცოდნეობა	22	33	55
გეოგრაფია	8	13	21
ფიზიკა	2	21	23
ფიზიკური აღზრდა	5	10	15
ბიოლოგია	4	16	20
ქიმია	4	19	23
ხელოვნებათმცოდნეობა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა	7	15	22
საინფორმაციო ტექნოლოგიები	29	39	68
სულ	205	394	599

რეგიონების და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით, შერჩევის დიზაინი მოცემულია ცხრილებში: ##2ა,2ბ:

ცხრილი №2ა

რეგიონი	შერჩევის წერტილი	კურსდამთავრებული	სტუდენტი	სულ
იმერეთი	1	18	43	61
აჭარა	1	22	36	58
კახეთი	1	5	25	30
სამცხე-ჯავახეთი	1	6	26	32
შიდა ქართლი	2	16	31	47
სამეგრელო-ზ. სვანეთი	1	6	14	20
თბილისი	6	132	219	351
სულ	13	205	394	599

ცხრილი №2ბ


რეგიონი	შერჩევის წერტილი	კურსდამთავრებული	სტუდენტი	სულ
იმერეთი	1	18	43	61
აჭარა	1	22	36	58
კახეთი	1	5	25	30
სამცხე-ჯავახეთი	1	6	26	32
შიდა ქართლი	2	16	31	47
სამეგრელო-ზ. სვანეთი	1	6	14	20
თბილისი	6	132	219	351
სულ	13	205	394	599

I. ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შეფასება

ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებულობის ხარისხი, მათი *სუბიექტური* თვითშეფასებით, პრაქტიკულად ერთნაირია² – ორივე ჯგუფის გამოკვეთილი უმრავლესობა (სტუდენტების 76.9% და კურსდამთავრებულების 70.2%) აცხადებს, რომ სრულ ან საკმარის ინფორმაციას ფლობს რეფორმების შესახებ. საერთო ჯამში, კარგად ინფორმირებულთა (მათივე თვითშეფასებიდან გამომდინარე) ხვედრითი წილი, ორივე ჯგუფში, მნიშვნელოვნად (ორჯერ და უფრო მეტად) აჭარბებს ცუდად ინფორმირებულთა ხვედრით წილს.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებულობის ამჟამინდელი მაჩვენებლების, 2008 წლის ამავე მონაცემთან შედარებისას ჩანს, რომ ვითარება თითქმის არ შეცვლილა (*იხ. დიაგრამა №1*):


დიაგრამა №1



² შერჩევის ცდომილების გათვალისწინებით (7%; სანდოობის ინტერვალი 95%) შესაძლოა ითქვას, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თვითშეფასებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ ვლინდება.

ორივე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობა (60%-ამდე) მიიჩნევს, რომ გატარებულმა რეფორმებმა უფრო ხელი შეუწყო, ვიდრე - შეუშალა ზოგადი განათლების სისტემის განვითარებას საქართველოში. ნეგატიურ შეფასებას რესპონდენტთა მცირე რაოდენობა გამოთქვამს თითოეულ ჯგუფში. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განწყობები 2008 წელთან შედარებით, არ შეცვლილა. (იხ. დიაგრამა №2):

დიაგრამა №2



რაც შეეხება ბოლო წლებში ზოგადი განათლების სფეროში გატარებული **კონკრეტული რეფორმისტული ცვლილებების** შეფასებას, რესპონდენტთა აშკარა მხარდაჭერას, ორივე სამიზნე ჯგუფში, იმსახურებს შემდეგი ცვლილებები:

- ერთიანი საატესტატო გამოცდების შემოღება (ამ ცვლილებას ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს);
- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა სკოლებისთვის;

უფრო პოზიტიური შეფასების ველში ექცევა, აგრეთვე, სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნა.

რესპონდენტთა გამოკვეთილად უარყოფითი შეფასება (ორივე სამიზნე ჯგუფში) წილად ხვდა 12 წლიანი საშუალო განათლებისა და სკოლებში ახალი სახელმძღვანელოების შემოღებას. უარყოფითი შეფასების ველში ექცევა სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესის შემოღებაც.

უფრო დეტალურად შედეგები მოცემული **ცხრილში №3:**

ცხრილი №3

რამდენად დადებითად ან უარყოფითად აფასებთ ბოლო წლებში განათლების სფეროში გატარებულ ცვლილებებს?	დადებითად/უფრო დადებითად (%)		არც დადებითად, არც უარყოფითად (%)		უარყოფითად/უფრო უარყოფითად (%)		მიჭირს პასუხის გაცემა (%)	
	სტუდ.	კურს.	სტუდ.	კურს.	სტუდ.	კურს.	სტუდ.	კურს.
სკოლების დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა	47.7	31.7	21.1	23.4	14.2	16.6	17.0	28.3
სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესი	38.3	23.9	15.2	23.4	32.0	32.2	14.5	20.5
სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნა	55.6	41.0	16.5	25.4	11.4	13.7	16.5	20.0
ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა სკოლებისთვის	53.8	46.8	15.5	24.4	16.2	9.8	14.5	19.0
ახალი სახელმძღვანელოები სკოლებში	33.8	39.5	12.9	22.0	46.7	31.7	6.6	6.8
12 წლიანი საშუალო განათლების შემოღება	27.7	24.9	10.4	12.7	61.4	61.5	0.5	1.0
ერთიანი საატესტატო გამოცდების შემოღება	72.8	69.3	7.4	10.2	19.0	18.0	0.8	2.4

ორივე ჯგუფის რესპონდენტებს სთხოვდნენ ერთმანეთისთვის შეედარებინათ ზოგადსა და უმაღლეს განათლების სფეროებში ჩატარებული ცვლილებები და აღენიშნათ, რომელი სფეროს რეფორმირება აღმოჩნდა უფრო წარმატებული. ამ საკითხზე რესპონდენტთა პოზიციები (ორივე ჯგუფში) თითქმის ერთგვაროვანია. თუმცა, შეიმჩნევა თვალსაზრისებს შორის მცირე განსხვავებაც. კერძოდ, იმ სტუდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უფრო წარმატებული აღმოჩნდა უმაღლესი განათლების სფეროში გატარებული ცვლილებები, აღემატება იმ კურსდამთავრებულთა ხვედრით წილს, რომლებიც ამ პოზიციას ეთანხმებიან. სტუდენტებთან შედარებით, კურსდამთავრებულთა მეტი რაოდენობა იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ორივე სფეროში გატარებული ცვლილებები ერთნაირად წარმატებულია. ორივე სფეროში ცვლილებების წარუმატებლობაზე გამოკითხულთა მცირე რაოდენობა მიუთითებს.

(იხ. ცხრილი №4):


ცხრილი №4

რომელ სფეროში გატარებული ცვლილებები აღმოჩნდა უფრო წარმატებული?	სტუდენტები %	კურსდამთავრებულები %
უფრო წარმატებული აღმოჩნდა ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები	27.7	20.5
უფრო წარმატებული აღმოჩნდა უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები	25.9	23.4
ორივე სფეროში გატარებული ცვლილებები ერთნაირად წარმატებულია	22.1	26.8
ორივე სფეროში გატარებული ცვლილებები ერთნაირად წარუმატებელია	16.2	17.1
მიჭირს პასუხის გაცემა	8.1	12.2

II. მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ დამოკიდებულება

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება³ ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა მიერ მიიჩნევა ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის დროულ და აუცილებელ ეტაპად. მეტიც: გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (სტუდენტთა 24.1% და კურსდამთავრებულთა 19.0%) მიიჩნევს, რომ 2010 წლისთვის სერტიფიცირების დაგეგმვა დაგვიანებული იყო. შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ის ნაწილი, რომელიც 2010 წლისათვის მასწავლებელთა სერტიფიცირებას დაგვიანებულად მიიჩნევს, როგორც ასეთი, სერტიფიცირების მიმართ დადებითად არის განწყობილი. გამოკითხულთა მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროა ამ პროცესის გადადება ან მისი საერთოდ არჩატარება. აღნიშნული ტენდენციები 2008 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების იდენტურია (იხ. დიაგრამა №3):

დიაგრამა №3



მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ რესპონდენტთა აშკარა მხარდაჭერა დადასტურდა გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც:

³ როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელს დაიწყო მასწავლებელთა სერტიფიცირება. 2010-დან 2014 წლის ჩათვლით სერტიფიცირება იქნება ნებაყოფლობითი, ხოლო შემდეგ – სავალდებულო. ამასთან, მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, რამდენჯერმე გავიდნენ გამოცდებზე.

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მასწავლებლებისთვის;
- რესპონდენტთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებითაც, რომ სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს მიეცეთ პრივილეგიები (მაგ., გაეზარდოთ ხელფასი და სხვ.).

კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სერტიფიცირება მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს, ორჯერ აღემატება იმ სტუდენტთა ხვედრით წილს, რომლებიც ამავე მოსაზრებას ეთანხმებიან.

გამოკითხულთა ნაწილი (ორივე ჯგუფში 30-40%-მდე) ეთანხმება მასწავლებელთათვის, თუ ისინი სერტიფიცირებას ვერ გაივლიან, სკოლაში მუშაობის აკრძალვას. რესპონდენტები უფრო მეტად იხრებიან იმისკენ, რომ სერტიფიცირებაგაუვლელ მასწავლებლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცეთ სკოლაში მუშაობის უფლება, თუ მოცემულ საგანში პედაგოგის ვაკანსია სკოლაში ვერ შეივსო.

ამჟამინდელი და 2008 წლის მონაცემების შედარებისას იკვეთება, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თვალსაზრისებში არსებითი თანხმობაა.

უფრო დეტალურად შედეგები იხ. ცხრილში №5:
ცხრილი №5

	2012		2008	
ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით?	სტუდენტები %	კურსდამთავრებულები %	სტუდენტები %	კურსდამთავრებულები %
მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მასწავლებლისთვის	69.0	56.6	70.7	67.2
მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს	24.6	41.0	26.6	27.8
მიჭირს პასუხის გაცემა	6.3	2.4	2.7	5.0
იმ მასწავლებლებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უარი უნდა ეთქვას სკოლაში მასწავლებლად მუშაობაზე	38.6	32.7	35.8	33.5
იმ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უნდა შეეძლოს დარჩენა სკოლაში იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო	47.7	56.6	55.1	59.1
მიჭირს პასუხის გაცემა	13.7	10.7	9.0	7.4
სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს უნდა მიეცეთ პრივილეგიები. მაგალითად, გაეზარდოთ ხელფასი და სხვ.	74.6	64.9	66.0	65.0
სერტიფიცირების გავლა უნდა იყოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის დემონსტრირება, რომელიც არ უნდა გამოიხატოს რეალურ პრივილეგიებში (ხელფასის გაზრდა და სხვ.). ხელფასები და სხვა პრივილეგიები უნდა განაწილდეს ყველა მასწავლებელზე თანაბრად	17.8	26.8	29.1	30.0
მიჭირს პასუხის გაცემა	7.6	8.3	4.9	5.0

III. ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები; მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები

3.1. ზოგადი განათლების სისტემის პრობლემები

ზოგადი განათლების სისტემის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის იკვეთება მასწავლებელთა **დაბალი ანაზღაურების** პრობლემა. ამაზე როგორც სტუდენტთა, ისე კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა მიუთითებს.

სხვა პრობლემათა შორის გამოიკვეთა:

- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის;
- მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უხარისხო სასწავლო გეგმები;
- არსებული სახელმძღვანელოების დაბალი დონე.

2008 წელთან შედარებით ძირითადი ტენდენციები არ შეცვლილა, თუმცა შეიცვალა პრობლემათა რიგითობა; მაგ: 2008 წლის მონაცემებით, სკოლებში დისციპლინის მოშლა ერთ-ერთ პრობლემად იყო დასახელებული, რაც ამჟამინდელი მონაცემებით გამოკვეთილ პრობლემად არ მიიჩნევა. აქ უთუოდ უნდა ვეძებოთ სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღების პოზიტიური კვალი.


პრობლემათა სრული ჩამონათვალი მოცემულია **ცხრილში №6**:

ცხრილი №6

ზოგადი განათლების სისტემის პრობლემებიდან, პირველ რიგში რომელი ითხოვს გადაჭრას?	2012		2008	
	სტუდენტები	კურსდამთავრებულები	სტუდენტები	კურსდამთავრებულები
მასწავლებელთა დაბალი ხელფასები	63.4	48.5	66.3	69.5
მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია	28.8	32.2	26.0	22.8
მწირი მატერიალური-ტექნიკური ბაზა	25.4	26.1	22.9	19.6
მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის	24.4	35.3	25.8	21.1
უხარისხო სასწავლო გეგმები	18.5	25.9	17.4	15.6
არსებული სახელმძღვანელოების დაბალი დონე	13.7	22.8	12.1	9.9
ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების არაეფექტურობა	12.2	13.5	12.4	8.2
სკოლებში დისციპლინის მოშლა	12.2	14.2	36.9	35.7
პედაგოგის პროფესიის არაპრესტიჟულობა	10.2	14.0	19.4	22.6
სკოლების არაეფექტური მართვა	7.8	12.7	6.2	5.7
უხარისხო სატრენინგო პროგრამები მასწავლებლებისათვის	7.3	6.9	5.2	5.2
კორუფცია სკოლებში	5.9	5.6	16.8	22.1
მასწავლებელთა გადატვირთული საათობრივი ბადე	3.4	2.5	2.7	3.2
მასწავლებლად გახდომის პროცესის სირთულე	2.0	2.8	3.2	4.7
მიჭირს პასუხის გაცემა	2.9	0.5	1.5	2.5

რესპონდენტები (ორივე ჯგუფში) **ოპტიმიზმს** ამჟღავნებენ იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა ზოგადი განათლების წინაშე მდგარი ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა უახლოეს წლებში. დომინანტური პოზიცია ამ შემთხვევაში ისაა, რომ უახლოეს წლებში პრობლემების მხოლოდ ნაწილის გადაჭრა მოხერხდება. უკიდურესად ოპტიმისტური (“უახლოეს წლებში ყველა პრობლემა გადაიჭრება”) და, განსაკუთრებით, პესიმისტური პროგნოზები (“ვითარება არ შეიცვლება”, ან “ვითარება გაუარესდება”) სამიზნე ჯგუფებში ნაკლებად კეთდება. მომავლისადმი მოლოდინების მხრივაც, 2008 წელთან შედარებით, ვითარება თითქმის არ შეცვლილა (**იხ. დიაგრამა №4**):

დიაგრამა №4



3.2. მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები

ორივე სამიზნე ჯგუფში სკოლაში მასწავლებლად მუშაობის ძირითად უპირატესობებად (რომელთა გამოც, ვინმემ, შესაძლოა, ეს პროფესია აირჩიოს) დასახელდა:

- ბავშვებთან/ახალგაზრდებთან მუშაობა;
- სტაბილური სამუშაო;
- მეტი თავისუფალი დრო ოჯახისათვის.

აღსანიშნავია, რომ მცირეა რესპონდენტთა ის ნაწილი (ორივე სამიზნე ჯგუფში), რომელიც ფიქრობს, რომ სკოლაში მასწავლებლად მუშაობას არანაირი უპირატესობა არა აქვს.

დეტალურად შედეგები მოცემულია *ცხრილში №7*

ცხრილი №7

რა არის სკოლაში მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები?	სტუდენტები %	კურსდამთავრებულნი %
სტაბილური სამუშაო	21.5	22.2
პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობა საზოგადოებაში	4.1	4.9
ნორმალური ანაზღაურება	7.9	3.0
მეტი თავისუფალი დრო ოჯახისთვის	9.9	17.9
კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა	7.3	7.6
მასწავლებლად გახდომის პროცესის გამჭვირვალობა	0.6	0.9
ბავშვებთან, ახალგაზრდებთან მუშაობა (მათ აღზრდაში მონაწილეობა	25.3	22.5
კოლეგებთან პროფესიული მუშაობის გამოცდილება	4.4	4.9
სკოლაში სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა	9.0	5.2
მასწავლებლად გახდომის სიმარტივე	3.8	1.8
სკოლაში მასწავლებლებლად მუშაობას არანაირი უპირატესობა არა აქვს	4.7	7.3
მიჭირს პასუხის გაცემა	1.4	1.8

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სკოლის პედაგოგობა, რესპონდენტთა უმრავლესობისათვის, არ არის ძირითადად სწავლაში და საქმეში ხელმოცარულთა “თავშესაფარი”. პირიქით, მათი აზრით, სკოლაში მასწავლებლობას უფრო ის კურსდამთავრებულები იწყებენ, ვინც უმაღლეს სასწავლებელში გამორჩეული სტუდენტი იყო და რომ მასწავლებლობა წარმატებული ადამიანების შეგნებული არჩევანია (ამჟამინდელი და 2008 წლის მონაცემები, ამ შემთხვევაშიც, იდენტურია). 2012 წლის კვლევის მონაცემები *იხ. ცხრილში №8*):

ცხრილი №8

ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით?	სტუდენტები %	კურსდამთავრებულნი %
უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან სკოლაში მასწავლებლად მუშაობას უფრო ისინი იწყებენ, ვინც სტუდენტობისას არ გამოირჩეოდა სწავლით და მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით	30.5	28.8
სკოლაში მასწავლებლად უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა ის ნაწილი უფრო მიდის, ვინც გამორჩეული სტუდენტი იყო და მაღალი აკადემიური მაჩვენებლები აქვს	45.4	40.0
<i>მიჭირს პასუხის გაცემა</i>	<i>24.1</i>	<i>31.2</i>
სკოლაში მასწავლებლობას ძირითადად ისინი იწყებენ, ვინც სხვა სამსახური ვერ იშოვა ან სხვა საქმეში წარმატებას ვერ მიაღწია	37.1	30.7
სკოლის პედაგოგობა საპატიო პროფესიაა, რომელსაც წარმატებული ადამიანები შეგნებულად ირჩევენ	48.2	51.2
<i>მიჭირს პასუხის გაცემა</i>	<i>14.7</i>	<i>18.0</i>

ისმის კითხვა: არის თუ არა პედაგოგობის ყველა ის ზემოაღნიშნული ხიბლი, რაზეც რესპონდენტები მიუთითებენ, საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ მათ საკუთარი ოჯახის წევრისათვის მასწავლებლობა ისურვონ, სხვა საქმიანობის დაწყების სანაცვლოდ? როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს – არა. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ **კოგნიტურ დისონანსთან**, რომელიც შეიძლება ასე აღიწეროს: მასწავლებლობა კარგი პროფესიაა, მაგრამ არც იმდენად, რომ ის სასურველ საქმიანობად მივიჩნიოთ. ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტებისთვის სკოლის პედაგოგობა პოზიტიური სიმბოლური კაპიტალია, თუმცა, როგორც კი ეს კაპიტალი რეალობას (ანუ, **საკუთარ** გამოცდილებას) “ედება”, მისი დადებითი შინაარსი ფერმკრთალდება (*იხ. ცხრილი №9*):

ცხრილი №9

ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით?	სტუდენტები %	კურსდამთავრებულნი %
მირჩევნია, რომ ჩემი ოჯახის წევრმა (მეუღლემ, შვილმა, დამ/ძმამ და ა.შ.) სკოლაში მასწავლებლად დაიწყოს მუშაობა	28.7	19.5
მირჩევნია, რომ ჩემი ოჯახის წევრმა სხვა სამსახური მოიხილოს, ვიდრე სკოლაში მასწავლებლად წავიდეს	51.3	65.4
<i>მიჭირს პასუხის გაცემა</i>	<i>20.1</i>	<i>15.1</i>

ის, რომ რესპონდენტები რეალურად მასწავლებლის პროფესიას არ აღიქვამენ როგორც კონკურენტუნარიანს სხვა პროფესიებთან შედარებით, გამოკითხვის იმ მონაცემებითაც დასტურდება, რომლებიც სხვადასხვა პროფესიათა **პრესტიჟულობას** განსაზღვრავს (რესპონდენტთა თვალსაზრისით).

ყველაზე არაპრესტიჟულ პროფესიებად რესპონდენტებმა მიიჩნიეს ხელოსნობა და ბაღის აღმზრდელობა⁴. რაც შეეხება სკოლის მასწავლებლობას, მისი რეიტინგი უფრო დაბალია ვიდრე, მაგალითად, ისეთი პროფესიების, როგორიცაა, მსახიობი, პოლიციელი, მეცნიერ-მუშაკი და ა.შ. ამჟამინდელი და 2008 წლის ტენდენციები მსგავსია: მასწავლებლობა პროფესიების ჩამონათვალში ნამდვილად არ იკავებს საპატიო ადგილს.

დეტალურად შედეგები (2008-2012 წლების) მოცემულია **ცხრილში №10**:

ცხრილი №10

რამდენად პრესტიჟულია ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიები პირადად თქვენთვის?	ქულა (საშუალო მაჩვენებლები)			
	2013 წ.		2008 წ.	
	სტუდ.	კურსდ.	სტუდ.	კურსდ.
ექიმი	4.4	4.5	4.4	4.6
ბიზნესის ადმინისტრატორი	4.2	4.4	4.4	4.5
ჟურნალისტი	4	4.2	4.2	4.4
მოსამართლე	4.2	4.2	4.1	4.3
უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი	4.2	4.1	4.0	4.2
მეცნიერ-მუშაკი	3.7	3.9	3.6	3.8
მსახიობი	3.7	3.9	3.5	3.8
პოლიციელი	3.7	3.7	3.1	3.4
სკოლის მასწავლებელი	3.3	3.6	3.4	3.5
სპორტსმენი	3.5	3.6	3.6	3.8
დიზაინერი	3.2	3.5	3.6	3.7
ინჟინერი	3.5	3.5	3.1	3.4
მუსიკოსი	3.3	3.4	3.2	3.3
ბაღის აღმზრდელი	2.9	3.1	2.6	2.9
ხელოსანი	2.8	2.9	2.5	2.7

შენიშვნა: პროფესიათა პრესტიჟულობა შეაფასებულია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი 1 აღნიშნავს “ყველაზე არაპრესტიჟულს”, ხოლო 5 – “ყველაზე პრესტიჟულს”. სკალის ნეიტრალური პუნქტია 3. პროფესიები, რომელთა რეიტინგი <3-ზე, პრესტიჟულობის ველში თავსდება, ხოლო, რომელთა რეიტინგი >3-ზე – არაპრესტიჟულობის ველში.

⁴ რესპონდენტებს მიეწოდათ პროფესიათა ჩამონათვალი და მათ ამ ჩამონათვალის ფარგლებში განსაზღვრეს პროფესიათა პრესტიჟულობის დონე. პროფესიათა სია შედგა იმის გათვალისწინებით, რომ მას მოეცვა საქმიანობის სხვადასხვა სფერო და ტიპი.


IV. სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი; მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები; მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა

4.1. მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი

შეკითხვაზე: “გსურთ თუ არა სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება?” – სტუდენტების უმრავლესობა სკოლაში მუშაობის სურვილს არ გამოხატავს, ხოლო კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კი აცხადებს, რომ სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება სურს. ასეთი სხვაობა უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ სტუდენტები, ჯერჯერობით, არ დამდგარან სამუშაო ადგილების შოვნის სირთულეების წინაშე. ამდენად, მათი სურვილები ამ მიმართულებით უფრო “თავისუფალია”. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, ისინი უფრო მეტად აცნობიერებენ უმუშევრობის საშიშროებას და, შესაბამისად, უფრო მეტად “უფრთხილდებიან” შესაძლო სამუშაო ადგილებს (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთ შორის 62%-ზე მეტი უმუშევარია).

გამომდინარე იქედან, რომ უმუშევრობის ზოგადი ტენდენცია ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში არ შეცვლილა, მასწავლებლად მუშაობის დაწყების მზაობა 2008 წელსაც კურსდამთავრებულებს უფრო მეტად ჰქონდათ, ვიდრე სტუდენტებს (იხ. დიაგრამა №5):


დიაგრამა №5



არის თუ არა საკმარისი მასწავლებლად მუშაობის სურვილი იმისათვის, რომ **რესპონდენტები დათანხმდნენ მუშაობის დაწყებას იმ ხელფასით (321 ლარი)**, რაც დამწყები მასწავლებლის თვიურ ანაზღაურებას შეადგენს სრულ განაკვეთზე⁵?

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისთვის ამ შემთხვევაში იკლებს და ორივე ჯგუფის თითქმის ნახევარი უარს აცხადებს ამ ხელფასით მუშაობის დაწყებაზე (ეს უარი ზოგჯერ პრინციპულია [“არ დავთანხმდებოდი”], ხოლო ზოგჯერ – ნაკლებად პრინციპული [“ალბათ, არ დავთანხმდებოდი”]). სამიზნე ჯგუფებს შორის გარკვეული განსხვავება მაინც შეიმჩნევა: იმათი ხვედრითი წილი, ვინც მყარად ემხრობა მასწავლებლობას ზემოაღნიშნული ანაზღაურებით კურსდამთავრებულთა შორის უფრო მეტია, ვიდრე სტუდენტთა შორის (**იხ. დიაგრამა №6**):

დიაგრამა №6



* * *

საინტერესოა ერთი გარემოება: სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მთელ შერჩევაში არსებულ განაწილებასთან შედარებით, იცვლება თუ არა იმ რესპონდენტთა **სოციალურ-დემოგრაფიული სურათი**, რომლებიც თანახმა არიან სკოლაში მუშაობა 321 ლარიანი ხელფასით დაიწყონ?

⁵ დამწყები მასწავლებლის სრული განაკვეთი მოიცავს 18 საათიან დატვირთვას კვირაში.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, რომლებიც, ამ შემთხვევაში, საყურადღებო განსხვავებას იწვევენ, შემდეგია: სქესი, უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალობა, აკადემიური მოსწრება და დასაქმების სტატუსი. კერძოდ:

- 321 ლარიანი ხელფასით სკოლაში მუშაობის მსურველთა შორის ქალების რაოდენობა მკვეთრად აღემატება მამაკაცების რაოდენობას.
- აღნიშნული ანაზღაურებით მასწავლებლობის მსურველებში აშკარად იზრდება დაწყებითი განათლების, უცხო ენებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის რესპონდენტთა რაოდენობა, რასაც ვერ ვიტყვით, ვთქვათ, საბუნებისმეტყველო სპეციალობების მქონე რესპონდენტებზე.
- ცხადია, ამ ანაზღაურებით პედაგოგობის მსურველთა შორის უმუშევარ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, საერთო განაწილებასთან შედარებით, აშკარად მატულობს.

შედეგები დეტალურად იხ. ცხრილში №11:

ცხრილი №11

ისინი, ვინც დათანხმდება სკოლაში მუშაობას 321 ლარიანი ხელფასით	სტუდ. (%)	კურსდ. (%)
სქესი		
მდედრობითი	87.1	88.2
მამრობითი	12.9	11.6
სპეციალობა		
დაწყებითი განათლება	26.8	20.6
ქართული ენა და ლიტერატურა	18.3	14.7
მათემატიკა	6.4	2.9
უცხო ენა	20.5	29.4
ფიზიკა	2.2	1.5
ქიმია	2.2	1.5
ბიოლოგია	4.3	
ისტორია	11.7	7.4
ფერწერა	2.2	4.4
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4.3	13.2
ფიზიკური აღზრდა	1.1	
სამართალი		4.4
ხართ თუ არა დასაქმებული?		
არა ვარ	96.8	57.4
ვარ	3.2	42.6

შენიშვნა:

- ცხრილში მოტანილია მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია საერთო შერჩევაში არსებულ განაწილებასთან განსხვავების თვალსაზრისით. ასევე, სპეციალობასთან დაკავშირებით.

4.2. მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები

ორივე ჯგუფის იმ რესპონდენტებს, რომლებსაც არ გამოუთქვამთ პრინციპული თანხმობა სკოლაში 321 ლარად მასწავლებლად მუშაობის დაწყებაზე (ანუ, მათ, ვინც უპასუხეს: „აღბათ, დავთანხმდებოდი“, „აღბათ, არ დავთანხმდებოდი“ და „არ დავთანხმდებოდი“), შესაძლებლობა ჰქონდათ ღია შეკითხვაში გამოეხატათ თავიანთი პოზიცია იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა ის მინიმალური ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც დათანხმდებოდნენ სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას. საგულისხმოა, რომ ამჟამინდელ და 2008 წლის მონაცემებს შორის, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება: (იხ. ცხრილი №12):

ცხრილი №12


რა არის ის მინიმალური ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც, შესაძლოა, დათანხმდეთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას?	2013		2008	
	სტუდენტები	კურსდამთავრებულები	სტუდენტები	კურსდამთავრებულები
საშუალო მინიმალური თანხა	652 ლარი 49.5%	645 ლარი 40.5%	458.8 ლარი 63.0%	470.3 ლარი 58.4%
	%	%	%	%
არანაირ ანაზღაურებაზე არ დავთანხმდებოდი	13.2	15.1	13.5	10.7
მიჭირს პასუხის გაცემა	10.9	8.8	10.3	12.6

შენიშვნა: ცხრილში მინიმალური ხელფასი დათვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, რომელმაც შეკითხვაზე: „დათანხმდებოდით თუ არა დამწყები მასწავლებლის ხელფასით (321 ლარი) სკოლაში მუშაობაზე?“ – არ უპასუხა „დავთანხმდებოდი“; ხოლო პროცენტული მაჩვენებლები დათვლილია მთელი შერჩევიდან.

რესპონდენტთა მზაობა გაზრდილი ანაზღაურების პირობებში სკოლაში მუშაობის დასაწყებად, სხვადასხვა ფინანსური ინტერვალის მიხედვით, ასე განაწილდა (იხ. დიაგრამები №№7,8):


დიაგრამა #7

მინიმალური ანაზღაურება მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად
(სტუდენტები)



დიაგრამა №8

მინიმალური ანაზღაურება მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად
(კურსდამთავრებულები)



შენიშვნები დიაგრამებისთვის №7,8:

1. წითელ სვეტებში მოცემულია რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომლებმაც სკოლაში მუშაობის დასაწყებად დაასახელეს მასწავლებელთა ამაჟამად არსებულ ხელფასზე (321 ლარი) მეტი თანხა (ასეთია **სტუდენტების მთელი შერჩევის 49.5%**, ხოლო **კურსდამთავრებულების მთელი შერჩევის 40.5%**).
2. ლურჯ სვეტებში რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც განსაზღვრული თანხა დაასახელა, წარმოდგენილია როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.
3. რუხ სვეტებზე გამოხატული პროცენტები აღწერს რესპონდენტთა იმ ჯამურ ხვედრით წილს, რომელიც, შესაბამისი ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში, მასწავლებლად მუშაობაზე დათანხმდება.

გამოკითხვის შედეგები მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით:

- ანაზღაურების გაზრდის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზრდება მასწავლებლობის პოტენციურ კანდიდატთა ხვედრითი წილი;
- სტუდენტების მხოლოდ 26.4%-ია ისეთი, რომელიც გადაწყვეტილად აცხადებს, რომ სკოლაში წავა იმ ანაზღაურების პირობებში, რომელიც ახლა არსებობს (თვეში 321 ლარი), ხოლო, დამატებით 49.5% სკოლას იმ შემთხვევაში განიხილავს შესაძლო დასაქმების ადგილად, თუ მინიმალური ხელფასი იქნება საშუალოდ 652 ლარი.
- რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, მათ შორის 35.6%-ია ისეთი, რომელიც თანახმაა სკოლაში წავიდეს 321 ლარიანი ანაზღაურების პირობებში, ხოლო, დამატებით 40.5% სკოლას იმ შემთხვევაში განიხილავს შესაძლო დასაქმების ადგილად, თუ მინიმალური ხელფასი იქნება საშუალოდ 645 ლარი.
- სტუდენტთა შორის 13.2%-ია ისეთი, რომელიც სკოლაში მასწავლებლად მუშაობას გამორიცხავს ნებისმიერი ანაზღაურების პირობებშიც კი; კურსდამთავრებულთა შორის, ასეთი კატეგორიული პოზიცია უკავია 15.1%-ს.
- სტუდენტთა ჯგუფში „გაურკვეველთა“ ხვედრითი წილი, ვისაც უჭირს იმის განსაზღვრა, წავა თუ არა სკოლაში სამუშაოდ განსაზღვრული ანაზღაურების პირობებში, 10.9%-ს შეადგენს; „გაურკვეველთა“ რაოდენობა კურსდამთავრებულთა შორის 8.8%-ია.


4.3. მასწავლებლობა versus სხვა საქმიანობა

ისმის კითხვა: რამდენად ორიენტირებულია სკოლაში მუშაობაზე სამიზნე ჯგუფების ის ნაწილი, რომელიც, არსებული თუ უკეთესი ანაზღაურების პირობებში, არ გამოირიცხავს სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას? (ანუ, ეს ის ნაწილია, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობის დაწყებას“- სტუდენტების 13.2%, კურსდამთავრებულების 15.1%).

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ამ კატეგორიის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მასწავლებლობა არ წარმოადგენს პრიორიტეტულ საქმიანობას და მას ჩაანაცვლებდნენ სხვა, იმავე რანგის და ანაზღაურების სამსახურით.


მასწავლებლობა, იმავე რანგის და ანაზღაურების სხვა სამსახურთან შედარებით, მეტ-ნაკლებად პრიორიტეტულად მიაჩნია არარეზისტენტული სტუდენტების 40.7%-ს, ხოლო კურსდამთავრებულთა 40.2%-ს (იხ. დიაგრამა №9):

დიაგრამა №9.1



შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობის დაწყებას“.

დიაგრამა №9.2



რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ მონაცემებიდან (იგულისხმება **დიაგრამა №9**)?

შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლობის კანდიდატთა ხვედრითი წილი, ორივე სამიზნე ჯგუფში, კიდევ უფრო გამოიკვეთა: **სტუდენტთა შორის (მთელი შერჩევის გათვალისწინებით) 35.3%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 34.1%** შეიძლება განვიხილოთ როგორც მასწავლებლობის პოტენციურ კანდიდატთა ბაზა.

მეორე მხრივ, როგორც მონაცემები აჩვენებს, სტუდენტთა ამ ნაწილიდან მხოლოდ 17.0% (მთელი შერჩევის გათვალისწინებით) გამოხატავს მასწავლებლად დასაქმების მყარ სურვილს დღეისათვის არსებული ანაზღაურებით. სტუდენტთა დარჩენილი ნაწილი მასწავლებლობას არ მიიჩნევს უალტერნატივო საქმიანობად.

რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, მათგან მხოლოდ 13.2%-ია მასწავლებლობაზე მყარად ორიენტირებული დღეისათვის არსებული ანაზღაურებით, ხოლო დარჩენილი ნაწილი მასწავლებლობას არ მიიჩნევს უალტერნატივო საქმიანობად.


გამოკითხვის შედეგად შესაძლებელი გახდა რესპონდენტთა იმ ნაწილის გამოვლენა, ვისთვისაც მასწავლებლობა **უპირველესი პრიორიტეტია** და მას სხვა პროფესიაში არ გაცვლიან. ინდიკატორად გამოყენებულ იქნა რესპონდენტების

გადაწყვეტილება, თუ რას აირჩევენ ისინი – მასწავლებლობას თუ მეტ-ნაკლებად საინტერესო სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით.


ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ არჩევანის წინაშე დადგნენ ის რესპონდენტები, ვინც არ გამორიცხავენ სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას? (ანუ, ეს ის ნაწილია, რომელიც არ იზიარებს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობის დაწყებას“).

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლობის მიმართ ზოგადად ლოიალურად განწყობილი რესპონდენტების – როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების – მხოლოდ მცირე ნაწილი ამჟღავნებს პრინციპულ ერთგულებას სკოლის პედაგოგის საქმიანობის მიმართ. სტუდენტებს შორის პოზიციას – „არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით“ – ირჩევს 6.4%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის 4.0%. მასწავლებლობის ასეთ „უპირობო სიყვარულთან“ სიახლოვეს ამჟღავნებს დამატებით რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც ირჩევს პოზიციას: „ალბათ, არ დავთანხმდებოდი სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით“ (იხ. დიაგრამები №10.1, 10.2):

დიაგრამა №10.1



შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობის დაწყებას“.




თუ დიაგრამაზე მოცემულ მაჩვენებლებს სამიზნე ჯგუფების *მთელი შერჩევისთვის* დავითვლით, აღმოჩნდება, რომ მასწავლებლობის „თავგადაკუთლებული“ მსურველები სტუდენტთა არსებულ ნაკადში მხოლოდ 5.6%-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 3.4%. ასეთ განწყობას მეტ-ნაკლებად ატარებს დამატებით სტუდენტების 5.3% და კურსდამთავრებულების - 5.4%.

4.4. მასწავლებლობა არაკომფორტულ (ან „ექსტრემალურ“) პირობებში


გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ორივე ჯგუფის იმ რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (სტუდენტების 58% და კურსდამთავრებულების 71%), რომლებიც კატეგორიულად არ ეწინააღმდეგებიან სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას (ანუ, არ ირჩევენ პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობის დაწყებას“), მასწავლებლად წასვლაზე თანხმობას არ აცხადებს, თუ ამისთვის *საკუთარი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა* მოუწევს. ასეთ „მსხვერპლს“ უმტკივნეულოდ გაიღებდა სტუდენტთა მხოლოდ 26.4% და კურსდამთავრებულთა 35.6%⁶.

დეტალურად შედეგები იხ. დიაგრამებზე №11.1, 11.2:

⁶2008 წლის მონაცემებთან შედარებით, მცირედ გაზრდილია იმ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მასწავლებლად მუშაობას დათანხმდებოდნენ, იმ შემთხვევაშიც, თუ ამისთვის საკუთარ საცხოვრებელ ადგილის შეცვლა მოუწევდათ.



შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობას დაწყებას“.



როგორც ირკვევა, **ანაზღაურების ფაქტორმა**, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს იმ რესპონდენტების განწყობა, ვინც მასწავლებლობისთვის საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად მზადყოფნას არ გამოხატავს. კერძოდ, თვეში საშუალოდ 980 ლარამდე მინიმალური ანაზღაურების პირობებში ასეთ სტუდენტთა 51.0% თანხმდება მასწავლებლად მუშაობის დაწყებას სხვა საცხოვრებელ ადგილას. იგივეს გააკეთებდა ამ კატეგორიის კურსდამთავრებულთა 34.6%, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნებოდა თვეში საშუალოდ 975 ლარი.

დეტალური მონაცემები იხ. **ცხრილში №13**.


ცხრილი №13

დაიწყებდით თუ არა მასწავლებლად მუშაობას იმ სკოლაში, რომელიც თქვენგან საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ითხოვს?	სტუდენტები (მთელი შერჩევა) %	კურსდამთავრებულები (მთელი შერჩევა) %
დავიწყებდი ყველა შემთხვევაში	10.4	14.2
მოსალოდნელია, რომ დავიწყებ, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნება საშუალოდ ...	(980 ლ) 51.0	(975 ლ) 34.6
არანაირი ანაზღაურებით არ დავიწყებდი მასწავლებლობას, თუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მომიწევდა	23.9	39.0
მიჭირს პასუხის გაცემა	14.7	11.2

საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისათვის, სხვადასხვა ფინანსური ინტერვალის მიხედვით, ასე განაწილდა (იხ. **დიაგრამები №№12,13**):


დიაგრამა №12

მინიმალური ანაზღაურება იმისათვის, რომ დათანხმდეთ მასწავლებლად მუშაობას საცხოვრებელი ადგილის შეცვლის წინაპირობით (სტუდენტები)



დიაგრამა №13

მინიმალური ანაზღაურება იმისათვის, რომ დათანხმდეთ ამსწავლებლად მუშაობის დაწყებას, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის წინაპირობით (კურსდამთავრებულები)




შენიშვნები დიაგრამებისთვის №№12,13:

1. წითელ სვეტებში მოცემულია რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც შეკითხვაზე: „*რამდენს უნდა შეადგენდეს მინიმალური ანაზღაურება იმისთვის, რომ დათანხმდეთ მასწავლებლად მუშაობას საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში?*“ – დაასახელა განსაზღვრული თანხა.
2. ლურჯ სვეტებში რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც განსაზღვრული თანხა დაასახელა, წარმოდგენილია როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.
3. რუხ სვეტებზე გამოხატული პროცენტები აღწერს რესპონდენტთა იმ ჯამურ ხვედრით წილს, რომელიც, გარკვეული ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში, მასწავლებლად მუშაობაზე დათანხმდება.

კიდევ უფრო მცირეა სტუდენტების და კურსდამთავრებულების მზაობა მასწავლებლად მუშაობის დაწყებისათვის მაშინ, თუ მათ პედაგოგობა **რთული კლიმატური პირობების და მოუწყობელი საცხოვრებელი გარემოს** (უგზოობა, უგაზოობა და ა.შ.) ვითარებაში მოუწევთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, მნიშვნელობა აქვს იმას, რთული საცხოვრებელი გარემო რესპონდენტებს საკუთარ რეგიონში ხვდებათ, თუ – სხვა რეგიონში. რთული კლიმატური და საცხოვრებელი პირობების მქონე საკუთარ რეგიონში მუშაობის გამოკვეთილი მზადყოფნა სამიზნე ჯგუფებში ძალზე დაბალია, ხოლო სხვა რეგიონში – პრაქტიკულად არ არსებობს.


დეტალურად შედეგები მოცემულია **დიაგრამებზე №№14.1,14.2,15.1,15.2:**

დიაგრამა №14.1




შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „*არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობას დაწყებას*“.

დიაგრამა №14.2




დიაგრამა №15.1



შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავთანხმდებოდი სკოლაში მუშაობის დაწყებას“.

დიაგრამა №15.2



იცვლება თუ არა რესპონდენტთა მზაობა მაშინ, როდესაც საქმეში **ანაზღაურების ფაქტორი** ერთვება? გამოკითხვა აჩვენებს, რომ რთული კლიმატურ და საცხოვრებელ გარემოში მასწავლებლობის მიმართ მეტ-ნაკლებად სკეპტიკურად განწყობილ რესპონდენტთა (ორივე ჯგუფში) შორის:

ა) სულ მცირე, ყოველი მეორე⁷ შეიცვლიდა პოზიციას და საკუთარ რეგიონის რთულ პირობებში მასწავლებლობას დაიწყებდა, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნებოდა საშუალოდ დაახლოებით 1110 ლარი (სტუდენტების აზრით) ან - 1020 ლარი (კურსდამთავრებულების აზრით);

ბ) სულ მცირე, ყოველი მესამე⁸ დათანხმდებოდა სხვა რეგიონის რთულ პირობებში მასწავლებლობას, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნებოდა საშუალოდ დაახლოებით 1250 ლარი (სტუდენტები), ან - 1200 ლარამდე (კურსდამთავრებულები).

⁷ რთულ პირობებში მუშაობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი სტუდენტების 51.8% და კურსდამთავრებულების 42.6%.

⁸ რთულ პირობებში მუშაობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი სტუდენტების 55.1% და კურსდამთავრებულების 42.9%.

საბოლოო ჯამში, ორივე სამიზნე ჯგუფის მთელი შერჩევისათვის მონაცემები ასეთია (იხ. ცხრილი №14):


დაიწყებდით თუ არა მასწავლებლად მუშაობას რთული კლიმატური და საცხოვრებელი გარემოს პირობებში?	სტუდენტები (მთელი შერჩევა) %		კურსდამთავრებულები (მთელი შერჩევა) %	
	საკუთარ რეგიონში	სხვა რეგიონში	საკუთარ რეგიონში	სხვა რეგიონში
დავიწყებდი ყველა შემთხვევაში	16.8	9.9	12.7	5.4
მოსალოდნელია, რომ დავიწყებ, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნება საშუალოდ ...	1110 ლ. 36.3	1250 ლ. 42.4	1020 ლ. 30.7	1200 ლ. 34.1
არანაირი ანაზღაურებით არ დავიწყებდი მასწავლებლობას რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ პირობებში	32.7	35.0	45.9	49.3
მიჭირს პასუხის გაცემა	14.2	12.7	10.2	11.2

ცხრილში მოტანილი მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ანაზღაურების ფაქტორი გაცილებით ეფექტურად მუშაობს მაშინ, როდესაც საქმე ეხება საკუთარ რეგიონში, ვიდრე სხვაგან, საცხოვრებლად რთულ პირობებში მუშაობას. ისიც ნათელია, რომ ისინი, ვინც სხვა რეგიონში (თანაც, რთულ პირობებში) წასვლაზე თანხმდებიან, მასწავლებლობის ფასს გაცილებით აძვირებენ.

საკუთარ ან სხვა რეგიონში რთულის საცხოვრებელი გარემოს პირობებში რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისათვის, სხვადასხვა ფინანსური ინტერვალის მიხედვით, ასე განაწილდა (იხ. დიაგრამები №№16,17,18,19):


დიაგრამა №16

მინიმალური ანაზღაურება მასწავლებლობისათვის, რთული საცხოვრებელი გარემოს პირობებში (საკუთარ რეგიონში) (სტუდენტები)




დიაგრამა №17

მინიმალური ანაზღაურება მასწავლებლობისათვის, რთული საცხოვრებელი გარემოს პირობებში (სხვა რეგიონში) (სტუდენტები)




დიაგრამა №18

მინიმალური ანაზღაურება მასწავლებლობისათვის, რთული საცხოვრებელი გარემოს პირობებში (საკუთარ რეგიონში) (კურსდამთავრებულები)



დიაგრამა №19

მინიმალური ანაზღაურება მასწავლებლობისათვის, რთული საცხოვრებელი გარემოს პირობებში (სხვა რეგიონში) (კურსდამთავრებულები)



შენიშვნები დიაგრამებისთვის №№16,17,18,19:

1. წითელ სვეტებში მოცემულია რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც შეკითხვაზე: „რამდენს უნდა შეადგენდეს მინიმალური ანაზღაურება იმისთვის, რომ დათანხმდეთ მასწავლებლად მუშაობას თქვენს/სხვა რეგიონში რთული საცხოვრებელი გარემოს პირობებში?“ – დაასახელა განსაზღვრული თანხა.
2. ლურჯ სვეტებში რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც განსაზღვრული თანხა დაასახელა, წარმოდგენილია როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.
3. რუხ სვეტებზე გამოხატული პროცენტები აღწერს რესპონდენტთა იმ ჯამურ ხვედრით წილს, რომელიც, გარკვეული ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში, მასწავლებლად მუშაობაზე დათანხმდება.

V. ზოგიერთი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებელი

სქესი	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
მდედრობითი	74.9	80.0
მამრობითი	25.1	20.0
ასაკი	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
20 წლამდე	8.9	
20 წლის	32.2	0.5
21 წლის	37.8	3.4
22 წლის	15.5	27.3
23-დან 26 წლამდე	4.6	56.1
26 და მეტი წლის	1.1	12.3
სპეციალობა	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
დაწყებითი განათლება	13.4	-
ქართული ენა და ლიტერატურა	17.1	16.2
მათემატიკა	6.9	5.9
უცხო ენა	21.5	19.5
ისტორია	7.6	8.3
გეოგრაფია	2.5	3.9
ფიზიკა	5.3	-
ფიზიკური აღზრდა	0.8	-
ბიოლოგია	4.1	2.0
ქიმია	3.3	-
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ეკოლოგია	2.6	0.5
სამართალმცოდნეობა	1.5	-
საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა	0.6	2
ხელოვნებათმცოდნეობა	3.0	-
ფერწერა	1.3	3.4
ჰუმანიტარული მეცნიერებები, ქართველოლოგია, არქეოლოგია	1.8	-
საინფორმაციო ტექნოლოგიები	11.2	16.6

უმაღლესი სასწავლებელი დაასრულა ...	კურსდამთავრებულ ები (%)
ბაკალავრის ხარისხით	98.0
ხუთწლიანი განათლების დიპლომით	2.0

აკადემური მოსწრება	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
უმადლესი	15.0	14.1
ძალიან კარგი	22.3	26.3
კარგი	37.3	43.9
საშუალო	19.5	14.1
დამაკმაყოფილებელი	4.8	1.5
სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში ...	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
აპირებს	69.5	41.5
არ აპირებს	9.9	28.3
ჯერ არ გადაუწყვეტია	20.6	23.9
ოჯახის მატერიალური მდგომარეობა	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
ძალიან დაბალი; შემოსავალი კვებაზედაც არ გვყოფნის	1.5	2.9
დაბალი; შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძლივს გვყოფნის	11.9	13.7
საშუალო; ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ	80.2	78.0
მაღალი; შეგვიძლია გართობისა და დასვენების ხარჯებსაც გავწოდეთ	6.3	5.4
დასაქმება	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
არ არის დასაქმებული	90.1	62.6
დასაქმებულია	9.9	38.0
იმთვან, ვინც დასაქმებულია:	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
დასაქმების სფერო		
განათლება	20.5	38.5
მომსახურება	23.1	19.2
სახელმწიფო მმართველობა	-	2.6
კერძო სექტორი	7.7	9.0
ჯანდაცვა	5.1	2.6
მასმედია	-	2.6
არასამთავრობო სექტორი	7.7	1.3
საპატრიარქო	1.3	
სხვა	5.2	5.2
უარი პასუხზე	20.5	20.5
იმთვან, ვინც დასაქმებულია:	სტუდენტები (%)	კურსდამთავრებულ ები (%)
ხელფასი		
საშუალო თანხა	275.0	271.8
უარი პასუხზე	42.3	39.7